

მარინე ჯიბლაძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

m.jibladze@freeuni.edu.ge

ახალი ჩინეთის დიპლომატიური მიღწევები (1949-1979)

რეზიუმე

დღეს ჩინეთი გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშე, ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელმაც სწორად გათვლილი სვლებით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას ეკონომიკურ სფეროში და საერთაშორისო საქმეებში, ამასთანავე, ყველასათვის ყურადსაღებია მისი აზრი და დამოკიდებულება სხვადასხვა საერთაშორისო საკითხისადმი. აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფერს მყარი საფუძველი ჩაუყარა ჭოუ ენლაის შორსმჭვრეტელობამ. მაშინ, როდესაც 1949 წლის ახალი ჩინეთის, იგივე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უპირველესი ამოცანა იყო მსოფლიო აღიარების მოპოვება, მან უდიდესი ძალისხმევა და შრომა გასწია ჩინეთისთვის ზემოაღნიშნული სტატუსის მოსაპოვებლად. იმ რთულ პერიოდში ჭოუმ არა მხოლოდ გადაარჩინა ჩინეთი, არამედ, ფაქტობრივად, აიძულა მსოფლიო ელიტებინა იგი და გაეწია მისთვის ანგარიში. ჭოუ ენლაის თავისი დიპლომატიური წინდახედულებითა და თანმიმდევრულობით მოქმედებდა ძალის დემონსტრირების რთულ რეალობაში, მაგრამ არ შეგუებია და დაამტკიცა კიდევ, რომ „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ის კონკრეტული მიღწევები, გამოყენებული ხერხები და გადადგმული ნაბიჯები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ჩინურ დიპლომატიურ სკოლას.

საკვანძო სიტყვები: ახალი ჩინეთი, დიპლომატია, საგარეო პოლიტიკა, ჭოუ ენლაი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩამოყალიბება. 1949 წელს ჩინეთში კომუნისტური ხელისუფლების სათავეში მოსვლით დასრულდა სამოქალაქო ომი, რომელიც 1927 წლიდან ჩანგ ქაიშის (იგივე ძიანგ ძიეში) მთავრობასა და კომუნისტების პარტიზანულ მოძრაობას შორის მიმდინარეობდა. პირველივე დღეებიდან ჭოუ ენლაის¹ ეკავა ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და, შეთავსებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია².

ჩინეთისთვის 1949 წელი იყო ის პერიოდი, როდესაც ქვეყანა შიდა დაპირისპირებებისა და სამოქალაქო ომის გამო ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა. ახალი ჩინეთის დიპლომატია პირველ ნაბიჯებს დგამდა და მას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური კადრი. ამ დროს ჭოუმ აამოქმედა „ყველაფრის თავიდან, მაგრამ განსხვავებულად

¹ იგივე ჯოუ ენლაი, აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ (ჯიბლაძე et al. 2019-2020).

² მაშინაც კი, როცა მან საგარეო საქმეთა სამინისტრო მარშალ ჩენ ის (1958-1972) გადასცა, ჭოუ რჩებოდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ მმართველად. იგი რეგულარულად მოგზაურობდა და აწარმოებდა ვიზიტებს უცხო ქვეყნებში სიცოცხლის ბოლომდე, ხელისუფლების სათავეში იგი რჩება 1976 წლამდე ანუ გარდაცვალებამდე და, როგორც მანამდე აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, ყოველთვის განსაზღვრავდა ქვეყნის საგარეო კურსს და უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა, იხ. <https://cpaffc.org.cn/>

დაწყების” პრინციპი, ანუ ძველი დიპლომატიების დიდი უმრავლესობა ჩაანაცვლა ახალი მთავრობის მხარეზე გადასული დიპლომატიებისაგან შერჩეულმა კადრებმა, ასევე პროფესიონალებმა სამთავრობო და სამხედრო სტრუქტურებიდან და გადამზადებულმა კურსდამთავრებულებმა, რომლებიც დიპლომატიურ საქმიანობას მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ შეუდგნენ. გადამზადების შემდეგ, ჭოუმ შექმნა დიპლომატიის ახალი მოდელი სანდო, პროფესიონალური, სახელმწიფო პოლიტიკაში ჩახედული, დისციპლინირებული და ერთ მუშტად შეკრული დიპლომატიური გუნდით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები წერენ, რომ ჭოუმ, ფაქტობრივად, გამოწვრთნა დიპლომატიური კონტინგენტი, შექმნა და განავითარა დიპლომატიის ახალი სტილი. ჭოუ ენლაი ამბობდა: „ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობით, ჩვენ ამავდროულად უნდა ვაწარმოოთ ოფიციალური, ნახევრად ოფიციალური და სახალხო დიპლომატია”.³

1950 წლების დასაწყისში, საგარეო საქმეთა სამინისტროში პირველად გამოცხადებისას, ჭოუმ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ ახალი ჩინეთის დიპლომატია უნდა ყოფილიყო „დამოუკიდებელი და დამაჯერებელი”. ჭოუ ენლაი შეუდგა ახალი პრინციპის - „სტუმრების მოპატიჟება ოთახის დალაგების შემდეგ” - ამოქმედებას, მან გამოაცხადა, რომ უცხო ქვეყნის ყველა დიპლომატიურ თუ საკონსულო მისიას უუქმდებოდა დიპლომატიური სტატუსი, რომლის აღდგენა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, წაუყენებდნენ თუ არა კიდევ ზედმეტ მოთხოვნებს ჩინეთს, და, უპირველეს ყოვლისა, მოხდებოდა თუ არა მხოლოდ ახალი ჩინეთის აღიარება და თანასწორობის დაცვა. თუმცა, თუ ეს ქვეყნები განაგრძობდნენ ჩანგ ქაიმის თაივანთან თანამშრომლობას, მათთან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ შეთანხმებას შეწყვეტდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ჭოუ ენლაი პირადად ასწავლიდა მომავალ დიპლომატებს ყველაფერს, პოლიტიკური იდეებიდან თუ დადგენილებებიდან პროფესიულ უნარებამდე, რაც მოიცავდა იდეოლოგიურ მომზადებას, საორგანიზაციო საქმიანობას, მუშაობის კონკრეტულ სტილსა თუ მეთოდებს და სხვ. მუდმივად იმართებოდა მოლაპარაკებები უცხო ქვეყნებთან ახალი ჩინეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და სამომავლო ორმხრივ ურთიერთობათა შესახებ.

ჭოუ ასწავლიდა კოლეგებს ერთიანობას, განხეთქილებისა და კონფლიქტებისგან თავის არიდებას, მოუწოდებდა მათ „თავიანთ პოზიციებზე მყარად დგომისა” და „კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვისკენ” დიპლომატიურ საქმიანობაში. იგი თავადაც აგრძელებდა თავდაუზოგავ მუშაობას მაშინაც, როცა მძიმედ იყო ავად, ხშირად უწევდა სტუმრების საავადმყოფოში მიღებას. პრემიერი ჭოუ ჩინელ დიპლომატებს ასწავლიდა მოკრძალებულობასა და სიფრთხილეს, და არავითარ შემთხვევაში - ამპარტავნებასა და იმპულსურობას; მათგან ითხოვდა, რომ ადამიანებს მოპყრობოდნენ თანაბრად სამართლიანად, ამავდროულად, თავი ყოველთვის ღირსეულად დაეჭირათ. ითხოვდა სამუშაოსადმი პასუხისმგებლურ და კეთილსინდისიერ მიდგომას, მუშაობაში სრულყოფისკენ სწრაფვას, რათა მცირე მოუწესრიგებლობა ან ზედაპირულობაც კი არ დაეშვათ და ამ ყველაფერში ჭოუ ენლაი მათთვის სამაგალითო იყო. იგი მომთხოვნი იყო დიპლომატების მიმართ, მაგრამ, ამავდროულად, შთააგონებდა მათ, უფრო გაბედულად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და თამამად ემოქმედათ. პრემიერი ჭოუ ყველა თაობის წარმომადგენელთა ჩართულობის პრინციპსა და საგარეო მიმართულებით

³ ტერმინი „სახალხო დიპლომატია” ჭოუ ენლაიმ ჩინეთში შემოიღო 50-იან წლებში, რაც ნიშნავდა ურთიერთობებს იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც იმ მომენტისთვის არ ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები და სახალხო დიპლომატია, ძირითადად, ორიენტრდებოდა ხალხის ინტერესებზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეგობრული ურთიერთობების დამყარებასა და გამყარებაში. 1954 წელს ჩინეთში შეიქმნა ჩინეთის საზღვარგარეთთან მეგობრობის სახალხო ასოციაცია (中国人民对外友好协会 CPAFFC), რომელიც დღესაც ფუნქციონირებს ჩინეთში და რომლის ძირითადი მიზანია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან ჩინელი ხალხის მეგობრობისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობა; ასევე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო და ტექნიკურ, სამეცნიერო და კულტურულ დარგებში ურთიერთგაცვლისა და თანამშრომლობის სტიმულირება.

ახალგაზრდებისა და მათ შორის, ქალბატონებისგან შემდგარი კადრების მომზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა („ჟენმინ ჟიპაო“ 1977).

ახალი ჩინეთის დაარსების პირველ წლებში, საგარეო უწყებაში ჯერ კიდევ არ არსებობდა სხვადასხვა ქვეყნების მიმართულელებით შესაბამისი სპეციალიზებული განყოფილებები. თავად ჭოუ ენლაი ეცნობოდა დეტალურ ინფორმაციას იმ ცალკეულ ქვეყანათა შესახებ, რომელებშიც გეგმავდა ვიზიტს ან მათ წარმომადგენლობებთან შეხვედრას.

ჭოუ ხვდებოდა, რომ ახალ ჩინეთს გარდაუვალად ესაჭიროებოდა ახალი დიპლომატია, რომელსაც შეეძლებოდა განემტკიცებინა მოპოვებული გამარჯვება, რომლის შედეგადაც შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ნათელი იყო, რომ საერთაშორისო აღიარებისა და მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ჩინური რევოლუციის გამარჯვება და ძალაუფლების შენარჩუნება. სხვაგვარად, მისი ხედვით, ჩინეთი ისევ გახდებოდა სხვაზე დამოკიდებული და სახელმწიფოებრიობასაც შეექმნებოდა სერიოზული საფრთხე, ამიტომაც იყო აუცილებელი დროული მოქმედება, სწორი და თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის გატარება. აქედან გამომდინარე დაასკვნეს, რომ ახალი ჩინეთის დიპლომატიის ამოცანა იყო სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარება საბჭოთა კავშირთან და, ამ უკანასკნელთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, „თვითგამლიერების“ პოლიტიკის კურსის გატარება, რაც უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი დიპლომატიური აქტებით. 1950 წლის 30 სექტემბერს ჭოუმ გააკეთა მოხსენება ჩინეთის საერთაშორისო სტატუსთან დაკავშირებით და გამოაცხადა ოცამდე ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ეტაპები. ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის თითოეული ეტაპის სახელწოდება განსაზღვრავდა ქვეყანაში მიმდინარე მთავარ პროცესებს:

პირველი ეტაპი (1949-1959) - ახალი ჩინეთის „ფეხზე წამოდგომისთვის ბრძოლის“ პროცესი: 1949 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ახალი ჩინეთი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, კერძოდ, დიპლომატიურ ურთიერთობების წარმართვას „სუფთა ფურცლიდან იწყებს“ და მოქმედებს ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებიდან გამომდინარე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფუნდამენტური ინტერესებია - ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, კონკრეტულად კი:

- რთულად მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვა;
- პოლიტიკურად სუვერენული ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩაურევლობა;
- ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნა, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული საგარეო დაფინანსებაზე.

ეს იყო ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ნაწილი, რომლის საფუძველზეც ეტაპობრივად გვარდებოდა საგარეო პრობლემები, ამ ინტერესების დათმობა დაუშვებელი იყო.

ჭოუ ენლაიმ, ცალკეული ქვეყნების თავიანთი საკითხისადმი ჩინეთისთვის მიუღებელი დამოკიდებულების გამო, დიპლომატიური ურთიერთობების წამოწყებისგან დროებით თავის შეკავების პოლიტიკა არჩია, რაც ითვალისწინებდა მხოლოდ სავაჭრო ან სხვა სფეროში ურთიერთობების დამყარებას.

ამ ეტაპის დასაწყისში ენლაი მოქმედებდა „ერთ მხარეზე დგომის“ პრინციპით, ანუ საბჭოთა კავშირზე და სოციალისტურ ბანაკზე ორიენტირებით, რასაც ქვეყნის აღდგენისა და საერთაშორისო პოლიტიკის დიდ არენაზე გასავლის პირველ და აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. მალევე ჩინეთი იწყებს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში.

1953 წლის დეკემბერში ინდოეთის დელეგაციის მიღების დროს, ჭოუ პირველად გამოდის „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის“ ინიციატივით. 1954 წელს ჭოუ ჩინურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ინდოჩინეთთან ურთიერთობების მოსაგვარებლად, მან გამართა მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებთან და გააცნო მათ „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი“. შედეგად,

ჩრდილოეთ ვიეტნამმა, ლაოსმა და კამბოჯამ მიიღეს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აღიარება. ჩინეთი ამ ეტაპზე ასევე იწყებს ტერიტორიული საკითხების მოგვარებას, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან მეგობრული და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებას.

1955 წლის აპრილში ჭოუს მიერ ინიცირებულმა პრინციპმა – „თანამშრომლობისთვის ნიადაგის მოსინჯვა“, სიტყვასიტყვით: „ემებო საერთო, მიუხედავად არსებული განსხვავებისა თუ პრობლემისა“, შეიძინა ურთიერთობებში სხვადასხვა სახის უთანხმოების მოგვარების ძირითადი გზამკვლევის სახე, რომელმაც დიპლომატიური წარმატება მოუტანა ჩინეთს. ჭოუ ენლაი თავად დიპლომატიის ამ უნიკალურ პრინციპზე ამბობდა: „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული პოლიტიკური სისტემა და განსხვავებული იდეოლოგია გააჩნია, ძალიან რთულია ერთსულოვნების მიღწევა, ხოლო იმისთვის, რომ დედამიწაზე ერთად ვიარსებოთ, უნდა გავცდეთ ჩვენს განსხვავებულ ცნობიერებასა და აზროვნებას“ და „ვიპოვოთ შეხების წერტილი“. ამგვარად, ჭოუ ენლაიმ გამოიწვია საერთო ქვეყნებს შორის „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის“ სახით და სწორედ ეს არის „თანამშრომლობისთვის ნიადაგის მოსინჯვის“ სტრატეგიული ღირებულება (ციენი 1989). რაც შეეხება კონკრეტულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, საერთო შეთანხმების მისაღწევად, პირველ რიგში, საჭიროა მონდომება და სურვილი, შემდეგ კი - მოთმინება, კომპრომისი, პრაგმატულობა. ჭოუ ენლაის ეხერხებოდა სერიოზული უთანხმოების დროსაც კი მოემბნა საერთო; მას შეეძლო, საჭირო სიტუაციაში, განსხვავებული აზრი დროებით განზე გადაედო.

მეორე ეტაპი (1960-1969) - ახალი ჩინეთის „ბალანსის შენარჩუნების“ პროცესი: რთულ მსოფლიო რეალობაში ჩინეთს უკვე აღარ ეშინოდა მუქარისა და ძალის დემონსტრაციის, მან დაიცვა თავისი სუვერენიტეტი და ღირსება. ჩინეთი აგრძელებდა „დაჩაგრული ქვეყნებისა თუ ერების დამოუკიდებლობის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლას“; მოაგვარა ზოგიერთ მეზობელ ქვეყანასთან ისტორიული საზღვრების პრობლემები. აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან და ლათინურ ამერიკასთან დაამყარა და განავითარა მეგობრული ურთიერთობები. ჩინეთის დასავლეთ ევროპასა და იაპონიასთან ურთიერთობებში ახალი პროგრესი შეინიშნებოდა. 1964 წელს ჩინეთსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ნიშნავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზებაში გარკვეულ გარღვევას. ჩინეთის დასავლეთ ევროპასთან ამ პერიოდში დაახლოება ასევე განაპირობა კონფლიქტმა ხრუმჩოვსა და მათ წეტუნგს⁴ შორის.

ეს პერიოდი გამოირჩევა იმით, რომ ჩინეთში 1966 წელს დაიწყო „კულტურული რევოლუცია“, რომელიც პერიოდულად უშლიდა ხელს ჭოუ ენლაის საგარეო ურთიერთობების წარმოებაში. „კულტურული რევოლუციის“ დროს დიპლომატიური მუშაობა სერიოზულად ზიანდებოდა. უკიდურესად რთულ პირობებში მყოფი ჭოუ ენლაი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა „ოთხეულთა ბანდის“⁵ მიერ საგარეო საქმეების კონტროლის მცდელობას და ყველანაირად ცდილობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების დაცვას, რომლებიც „ოთხეულთა ბანდის“ წარმომადგენლების მიერ იდევენბოდნენ და მაინც განაგრძობდნენ დიპლომატიურ საქმიანობას, რომელიც ჭოუ ენლაის ხელმძღვანელობით, 1968 წლიდან თანდათანობით აღდგა და ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა (ციენი 1989 - <http://cpc.people.com.cn/GB/69112/75843/75873/5166888.html>).

1968 წლიდან ჩინეთმა უკვე გამოაცხადა, რომ „აშშ-ს იმპერიალიზმისა“ და „საბჭოთა რევიზიონიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა ხდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური საკითხი. შედეგად, მოიშალა ურთიერთობები ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის თითქმის ყველა სფეროში. 1968 წელს საბჭოთა არმიის შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში აღქმული იყო ჩინეთის შიდა საქმეებში შესაძლო ჩარევად. ჭოუ ენლაიმ 1968 წლის 30 ოქტომბერს ოფიციალურ მიღებაზე განაცხადა, რომ „მათგან უკვე მოსალოდნელია ყველაფერი,

⁴ იგივე მათ მდღეს, აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ (ჯიბლაძე et al. 2019-2020).

⁵ 四人帮 სჟენპანგი - „ოთხეულთა ბანდა“, „კულტურული რევოლუციის დროს“ დაჯგუფება, რომელშიც გაერთიანდნენ ვანგ ხუნგვენი, ჭანგ ჩუნციაოი, ძიანგ ცინგი, იაო ვენიუენი.

მათ შორის - ჩინეთში შემოჭრაც”. მანამდე კი, სხვა საკითხებზე უთანხმოების და ინციდენტების გარდა, ჩინეთმა რუსეთს ტერიტორიული პრეტენზია წაუყენა, რამაც სსრკ გააღიზიანა და ამას მოჰყვა ამ უკანასკნელის მხრიდან პოზიციების გამკაცრება.⁶

მესამე ეტაპი (1970-1979) - ახალი ჩინეთის „ფეხზე მყარად დადგომის” პროცესი: 70-იან წლებში საერთაშორისო სიტუაციის კარდინალური ცვლილებების ფონზე, ჩინეთმა გააძლიერა განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა; მხარს უჭერდა მათ „იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ჰეგემონიის, რასიზმისა და ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში”; აქტიურად ეხმარებოდა და თავადაც მონაწილეობდა განვითარებადი ქვეყნების ახალი საერთაშორისო წესრიგის მიღწევისთვის სწრაფვაში. თუმცა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გამწვავების ფონზე, ჩინეთმა დაიწყო საერთაშორისო არენაზე გასვლის ახალი გზების ძიება და შესაბამისად, დაიწყო ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების დალაგების პროცესი. წარმატებული „პინგ-პონგის დიპლომატიის”⁷ შედეგად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა განიმუხტა. ჩინეთსა და აშშ-ს შორის დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულსა და სხვა სფეროებში.

1971 წლის ოქტომბერში ჩინეთმა აღიდგინა ლეგიტიმური ადგილი გაეროში, უამრავ ქვეყანასთან გადო დიპლომატიური ხიდი, განავითარა მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო სტატუსი და როლი დღითიდღე იზრდებოდა და მალევე გადაიქცა საერთაშორისო ასპარეზზე იმგვარ ძალად, რომლის უგულებელყოფა უკვე შეუძლებელი გახდა.

ჭოუ ენლაი ბევრს მუშაობდა იაპონიასთან ურთიერთობების დალაგებაზე, მან სხვადასხვა საკითხების განხილვაზე ორიენტირებული მრავალი დელეგაცია მიიღო, რომლებთანაც აწარმოებდა ინტენსიურ მოლაპარაკებებს. 1971 წელს პრემიერმა ჭოუმ წამოჭრა ჩინეთსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სამი პრინციპი:

- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა არის ერთადერთი ლეგიტიმური მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ჩინეთს;
- თაივანი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი;
- „იაპონია-თაივანის ხელშეკრულება” არის უკანონო, უნდა ანულირდეს.

იაპონიამ აღიარა ეს სამი პრინციპი, რის საფუძველზეც 1972 წელს იაპონიასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები დალაგდა. ჭოუ ენლაი სხვადასხვა დროს და ადგილას, განსხვავებული ფორმებით გამოხატა ჩინეთისადმი აგრესიას, მათ შორის - „ორი ჩინეთის”, „ერთი ჩინეთისა და ერთი თაივანის” თუ „ერთი ჩინეთისა და ორი ხელისუფლების” დამკვიდრების მცდელობას. ამ ბრძოლას დღესაც აგრძელებს თანამედროვე ჩინეთი (კენგი 2014).

1976 წლის ბოლოსთვის, „კულტურული რევოლუციის” ბოლო წელს, ჩინეთს ყველა განვითარებულ ქვეყანასთან ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-ს გარდა. 1976 წელს მათთან ვაჭრობის მოცულობამ ბევრად გადააჭარბა სოციალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვას.

⁶ რუსეთმა თავის დროზე მოახდინა ჩინეთის ტერიტორიის ოკუპირება (ტერიტორიაში შედის ვლადივოსტოკი, ხაბაროვსკი, კამჩატკა, სახალინი, ბლაგოვეშჩენსკი და სხვ., საერთო ფართი შეადგენს 1,5 მლნ. კვ. კმ)

⁷ ჭოუს მოღვაწეობის დროს საერთაშორისო ურთიერთობაში გამოყენებულია დიპლომატიის გატარების კრეატიული მეთოდები, მათ შორის „პინგ-პონგის დიპლომატია” და „პანდების დიპლომატია”. აშშ-სთან ურთიერთობის დალაგების მიზნით, ჭოუ ენლაიმ, მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული ოცწლიანი დამაბულობისა, გადადგა არაორდინალური ნაბიჯი, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „პინგ-პონგის დიპლომატია”. ჭოუმ ჩინეთში მოიწვია აშშ-ს სამაგიდო ტენისის ეროვნული ნაკრები პეკინში საჩვენებელი მატჩის ჩასატარებლად. ნაკრებს პირადად ჭოუ ენლაიმ უმასპინძლა. ამას მოჰყვა ჰენრი კისინჯერისა და, მოგვიანებით კი, 1972 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ისტორიული ვიზიტი ჩინეთში. მთლიანობაში, ეს ჩაითვალია ჩინური დიპლომატიის წარმატებად ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების დალაგებაში, რომელსაც მოჰყვა სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენები - 70-იან წლებში 130 დამოუკიდებელი ქვეყნიდან დაახლოებით 110 ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, რაც იყო ჭოუს მორიგი წარმატება.

მესამე ეტაპის 70-იანი წლების დასაწყისი გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩინეთისთვის, რადგან ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები დათბა. ხოლო ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ნორმალიზებასთან ერთად, ქვეყნების დიდ უმრავლესობასთან დიპლომატიური ურთიერთობების დაამყარების ძირითადი მისია ჩინეთმა შეასრულა.

იმდენად, რამდენადაც აშშ თაივანის საკითხთან მიმართებაში არ თმობდა თავის პოზიციებს და არ ამზობდა უარს თაივანის აღიარებაზე, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება გაჭიანურდა. 1973 წელს ჩინეთმა შეთავაზა აშშ-ს „ჩინეთ-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სამი პრინციპი“:

- აშშ-სა და თაივანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა;
- აშშ-სა და თაივანის ურთიერთდაცვის შეთანხმების ანუღირება;
- აშშ-ს ჯარების თაივანიდან გაყვანა.

მხოლოდ ჯეიმს კარტერის პრეზიდენტობის დროს გააცნობიერა აშშ-ს მთავრობამ, რომ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ნორმალიზება შედიოდა აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებშიც და დაინახა აუცილებლობა გამოეჩინა გაბედულება და მიეღო „სამი პრინციპი“. უკვე 1979 წლის იანვარში დამყარდა აშშ-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობები. აშშ-მ აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად იმ პირობით, რომ აშშ თაივანთან არაოფიციალურ ურთიერთობას მაინც შეინარჩუნებდა (კენგი 2014). მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინ აღუდგებოდნენ ნებისმიერი ქვეყნის ჰეგემონიის მცდელობას. მიუხედავად იმისა, რომ, რეალურად, ჭოუ ენლაი განაგრძობდა თავის საქმიანობას 1976 წლამდე, მისი გარდაცვალების შემდეგაც ესტაფეტა გადაეცა მის ღირსეულ მემკვიდრესა და თანამოაზრეს, ტენგ სიაოფინგს.⁸

ტენგ სიაოფინგი თავის მხრივ კონცენტრირდა ეკონომიკურ რეფორმებზე და დაიწყო „ღია კარის პოლიტიკის“ გატარება. ამ პერიოდისთვის ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობამ სერიოზული ცვლილებები განიცადა. თუ შევადარებთ აშშ-სა და სსრკ-ს ძალაუფლებას, აშშ უპირატესობით სარგებლობდა. ჩინეთის მიმართ საბჭოთა კავშირის სამხედრო მუქარა შედარებით შემცირდა. თუმცა ჩინეთს ფართომასშტაბიანი რეფორმების გასატარებლად სჭირდებოდა მშვიდობიანი საერთაშორისო გარემო. ამ მიზნით, ტენგ სიაოფინგმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა დიპლომატიურ სტრატეგიაში და უარი თქვა ხისტი ან რომელიმე სოციალური სისტემის იდეოლოგიის გამოყენებაზე საგარეო პოლიტიკის ორიენტირად, ხაზი გაუსვა რა დიპლომატიას, როგორც ქვეყნის წარმატებული ეკონომიკისა და ახალი მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ჰარმონიისა თუ წესრიგის განმსაზღვრელ ფაქტორს.

ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მიღწევების შეჯამება. უიმედო მდგომარეობაში მყოფ ახალ ჩინეთს, რომელიც ყოველმხრივ კრიზისს განიცდიდა, ყველაფრის თავიდან შენებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე და ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა უწევდა, რისი მიღწევაც წარმოუდგენელი იქნებოდა უცხო ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და საერთაშორისო არენაზე გასვლის გარეშე. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩინეთი უკვე ეტაპობრივად აღწევს წარმატებას ჭოუ ენლაის დამსახურებით. ნიშანდობლივია ასევე, ამ უკანასკნელის წვლილი ახალი მოდელის, პროფესიონალი, სამედო დიპლომატიური გუნდისა და მექანიზმის ჩამოყალიბებაში.

⁸ ჯერ კიდევ ოცია წლებში საფრანგეთში ბედმა ჩინური დიასპორის ორი წარმომადგენელი: ჭოუ ენლაი, რომელიც იმ დროს იყო ჩინური კომუნისტური მოძრაობის ლიდერი, და ტენგ სიაოფინგი შეახვედრა ერთმანეთს პარიზში. საფრანგეთშივე დაიწყო მათ შორის მჭიდრო მეგობრობა, რომელმაც უკვე მომავალში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტენგის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ჭოუ ენლაის სახით, მან შეიძინა მუდმივი მფარველი, მასწავლებელი და მენტორი. ჭოუმ თავისი მეგობარი არაერთხელ გადაარჩინა ცხოვრების ურთულეს პერიოდში. ტენგი თავის დროზე ჭოუ ენლაისთან ერთად მუშაობდა ახალი ჩინეთის შექმნის გეგმებზე. მისი გავლენით ტენგი 1922 წელს შევიდა ჩინეთის ახალგაზრდულ სოციალისტურ კავშირში და უკვე 1924 წელს - ჩინეთის კომპარტიის ევროპის განყოფილებაში. ამგვარად, ჭოუს მხარდაჭერითა და გავლენით, ტენგ სიაოფინგი ჯერ იქცა საკადრო პარტიულ მუშაკად და პროფესიონალურ რევოლუციონერად, მოგვიანებით კი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ რეფორმატორად.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების დალაგება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რითაც ჩინეთმა აღიდგინა ლეგიტიმური ადგილი გაეროში და გახდა უსაფრთხოების საბჭოს ხუთიდან ერთ-ერთი მუდმივი წევრი, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი ხდებოდა, რადგან გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრების გადაწყვეტილებას გაეროს ყველა წევრი ემორჩილებოდა.

გთავაზობთ იმ რეზოლუციის ნაწილს, რომლის საფუძველზეც თავიანთი გაეროდან გარიცხვა და ჩინეთის სახლხო რესპუბლიკის მიღება მოხდა: „გენერალური ასამბლეა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების თანახმად, აღიარებს, რომ ჩინეთის სახლხო რესპუბლიკის ხელისუფლება არის ჩინეთის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; ჩინეთი არის უსაფრთხოების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან ერთ-ერთი; ადადგენს ჩინეთის სახლხო რესპუბლიკას თავის უფლებებში და აღიარებს მისი ხელისუფლების წარმომადგენლობას გაეროში ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლობად; ასევე, დაჩქარებული წესით, ჩამოართმევს ჩანგ ქაიშის ადგილს გაეროსა და მასთან დაკავშირებულ ყველა უწყებაში“ (<https://digitallibrary.un.org/record/192054#record-files-collapse-header>).

გაეროს რეზოლუციის მიხედვით, თავიანთი გარიცხვას მხარი დაუჭირა გაეროს 75-მა წევრმა-ქვეყანამ, თავი შეიკავა 17-მა და წინააღმდეგ წავიდა 35 ქვეყანა. ამ 35 წევრს შორის იყო აშშ, რომელიც სთავაზობდა გაეროს თავიანთისთვის ადგილის შენარჩუნებას, მაგრამ ამ შეთავაზებას მხარი არ დაუჭირეს გაეროს დანარჩენმა წევრებმა, მათ შორის, დასავლეთ ევროპისა და ლათინო-ამერიკულმა ქვეყნებმა, მთელმა სოციალისტურმა ბანაკმა და არაბულმა სამყარომ. ამასთან, ინდოეთმა, თურქეთმა, ირანმა და კანადამაც ასევე დაუჭირეს მხარი თავიანთი გაეროდან გარიცხვას.

ჩინეთის დიპლომატიური მოქმედებების არეალი სწრაფად იზრდება და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა წარმატების მწვერვალზე აღწევს, უკვე თითქმის მთელი საერთაშორისო არენა მოიცავს. დიპლომატიური ურთიერთობები მყარდება ქვეყნების დიდ უმრავლესობასთან, რაც ჭოყ ენლას სწორი, მიზანმიმართული და ეფექტური პოლიტიკის შედეგია და ადასტურებს მის წარმატებასა და მნიშვნელოვან წვლილს ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში. ურთიერთობების დალაგებისა და აღდგენის პროცესში, მართალია, ზოგი მოუწოდებდა ჭოყ ენლას ხისტი მოქმედებისკენ, მაგრამ მისი სიტყვები - „რა საჭიროა დიპლომატია, თუ ერთმანეთს გასანადგურებლად გავიმეტებთ?“ (ჭანგი 2006) - დღესაც ჩინეთის საგარეო პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენს, ისევე, როგორც ჭოყ ენლას მიერ ინიცირებული და იდიომად ქცეული, ცნობილი პრინციპი - „თანამშრომლობისთვის ნიადაგის მოსინჯვა“.

ეს პრინციპი დღესაც აქტუალური და პრაქტიკულია თავისი ეფექტურობის თვალსაზრისით. მაგალითად, ბაიდენის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ, ჩინეთმა გააჟღერა თავისი პოზიცია - მზაობა აშშ-სთან ურთიერთობების დალაგების შესახებ. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლე იუჩენგის განცხადებით, „წელს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის, ჩინეთში ისტორიული ვიზიტის 50 წლისთავი აღინიშნება, ასევე ცნობილი, როგორც ‘პინგ-პონგის დიპლომატია’...“, „...მაშინ ჩვენმა დიდებულმა ერებმა არაჩვეულებრივი სიბრძნე და გამბედაობა გამოიჩინეს ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებში ‘ყინულის გასაღობად“ (<https://www.chinadaily.com.cn/a/202101/28/WS6012cdf1a31024ad0baa5d41.html>), „...დღესაც იგივე ხედვა და გამბედაობა გვმართებს, ისევე გამოწვევების წინაშე მდგომთ, რათა ორ ქვეყანას შორის კვლავ ‘გაღლვეს ყინული““. აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია, თავის მხრივ, კვლავ მოლაპარაკების ახალი გზების ძიებაშია <https://www.voanews.com/usa/white-house-says-us-seeks-new-approach-china>. ჩინეთის ამგვარი დამოკიდებულება უცნაურია მრავალი ექსპერტისთვის. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიდგომა - „რა საჭიროა დიპლომატია თუ

⁹ რეზოლუცია 2758 (XXVI). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახლხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა“. 1976-ე პლენარული სხდომა, 1971 წლის 25 ოქტომბერი.

ერთმანეთს გასანადგურებლად გავიმეტებთ?“ (ჭანგი 2006) - ჩინეთის მოწოდებად და საგარეო დევიზად რჩება, ანუ ჭოუ ენლაის მიერ ინიცირებული ცნობილი პრინციპი - „თანამშრომლობისთვის ნიადაგის მოსინჯვა“ - აქტუალურობას არ კარგავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვანგ, იენი. 2007. *ჩინეთის დიპლომატია*. პეკინი: პეკინის უნივერსიტეტი. / 汪燕. 2007. *中国外交*. 北京: 北京大学出版社.
- იუენ, მინი. 2005. *საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია*. პეკინი: პეკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა. / 袁敏. 2005. *国际关系史*. 北京: 北京大学出版社.
- კენგ, სიანგტუნგი. 2014. *ჩინეთის დიპლომატია*. პეკინი: სახალხო გამომცემლობა. / 耿向东. 2014. *图解中国外交*. 北京: 人民出版社.
- ლი, ცი. 2019. „კულტურული რევოლუცია“ და ჭოუ ენლაი“. / 李琦. 2019. “文化大革命”中的周恩来. <http://zhouenlai.people.cn/n1/2019/0423/c409117-31045689.html>
- ლი, ძიასუნგი. 1999. *ახალი ჩინეთის დიპლომატიის 50 წელი*. პეკინი: მსოფლიო ცოდნის გამომცემლობა. / 黎家松. 1999. *新中国外交 50 年*. — 北京: 世界知识出版社.
- „ქენმინ ჟიპაო“, 11.01.1977. / 《人民日报》, 1977.01.11.
- ციენ, ციჩენი. 1989. „ზედმიწევნით შვეისწავლოთ ჭოუ ენლაის დიპლომატიური აზრი და პრაქტიკა.“ *დიპლომატიური მიმოხილვა: დიპლომატიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალი*, 2: 1-6. / 钱其琛. 1989. 认真研究周恩来的外交思想与实践. 《外交评论: 外交学院学报》第 2 期 1-6.
- ციენ, ციჩენი. 1989. „ჭოუ ენლაის დიპლომატიური აზრისა და პრაქტიკის სწავლა და კვლევა“. / 钱其琛. 1989. 学习和研究周恩来外交思想与实践. <http://cpc.people.com.cn/GB/69112/75843/75873/5166888.html>
- ჭანგ, ხუნგსი. 2006. „ჭოუ ენლაის საუცხოო დიპლომატიის ხელოვნების რამდენიმე განმარტება.“ *დიპლომატიური მიმოხილვა*: 73-76. / 张宏喜. 2006. 对周恩来高超外交艺术的几点解读, 外交评论. 北京: 世界知识出版社. 73-76.
- „ჭოუ ენლაი“ / 《周恩来》
https://www.fmprc.gov.cn/web/ziliao_674904/wjrw_674925/2166_674931/t24737.shtml
- ჭოუ ენლაის რჩეული შრომები*. 1990. ტ. 1, 2. პეკინი: უცხო ენების გამომცემლობა. / 周恩来选集, 1990. 上下卷. 北京: 外文出版社.
- ჯიბლაძე, მარინე, თინათინ ბოლქვაძე, ლიოლუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნიკო ქელბაქიანი, მაკა თეთრაძე. 2019-2020. „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები.“ *სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ბიულეტენი II*: 18-37. http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf.
- Berridge, G. R. 2015. *Diplomacy: Theory and Practice*. London: Palgrave Macmillan.
- Journoud, P., and J. Yang. 2015. “Review of China’s Diplomacy. Theory and Practice.” *European Review of International Studies*, 2(3): 179–183. <https://www.jstor.org/stable/26593496>
- Keith, Ronald C. 1989. *The Diplomacy of Zhou Enlai*. New York: Palgrave Macmillan.
- Keylor, William. 2011. *The Twentieth-Century World and Beyond: An International History Since 1900*. New York: Oxford University Press.
- Kissinger, Henry. 2011. *On China*. New York: The Penguin Press.
- United Nations - <https://digitallibrary.un.org/record/192054#record-files-collapse-header>

Zhou, Enlai. 1957. "Report, 'My Observations on the Soviet Union' Zhou Enlai to Mao Zedong and the Central Leadership", 24 January 1957, trans, in *CWIHP*, Issue 6-7: 154.

Дипломаты вспоминают: мир глазами ветеранов дипломатической службы. 1997. Дипломатическая академия МИД России, Совет ветеранов МИД России (ред. совет: Петрик П.П. и др.). Москва: Научная книга.

<https://www.chinadaily.com.cn/a/202101/28/WS6012cdf1a31024ad0baa5d41.html>

<https://www.voanews.com/usa/white-house-says-us-seeks-new-approach-china>

<https://cpaffc.org.cn/>